ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

28.07.2025 წელი

12:30 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, კახა თედორაძე, ზაზა წულაძე.
მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე: 5 წინააღმდეგი: არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** . მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 8 მაისის V625 00011579 წერილის საფუძველზე, მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილების ცვლილების პროექტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე: 5 წინააღმდეგი: არცერთი

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნით.

გეგმის მიზანია:

- საგანგებო სიტუაციებისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

- ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;

- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;

-ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე: 5 წინააღმდეგი: არცერთი

3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა რომ, პროექტი ხორციელდება შავი ზღვის აუზის სამ სახელმწიფოში, თურქეთში, საბერძნეთში და საქართველოში. საქართველოდან შერჩეულია მდინარე სუფსა და ამიტომ აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. პროექტის დაფინანსება შეადგენს 3370 ათას ევროს. მუნიციპალიტეტის მონაწილეობა განსაზღვრულია ამ თანხის 10%-ის თანადაფინანსებით.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 5 წინააღმდეგი: არცერთი

4. სხვადასხვა.

დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ: 1. ავტობანის მშენებლობისას, მდინარეზე ხიდის აშენების შემდეგ ღრმაღელე-წყალწმინდის მხარეს, მდინარის კალაპოტი დაახლოებით 70%-ით შევიწროებულია როგორც ვიცით სამშენებლო ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გაუქმებულია და ამჟამად მუშაობაც შეჩერებულია. სამწუხაროდ, გვაქვს გამოცდილება, ამავე მდინარეზე სუფსის მხარეს კალაპოტის შევიწროებამ როგორი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. ანალოგიური საშიშროება არსებობს ახლაც. **2.** სავალალო მდგომარეობაა ყოფილი ,,სტარა ვერების" სასაფლაოზე, რომელიც ავტობანის მშენებლობისას მოექცა აგებული ხიდის ქვეშ. მიუხედავად დაპირებისა მშენებლებმა არც დაასუფთავეს საამშენებლო ნაგავისგან და არც შემოღობეს იგი. **3.** ავტობანის მშენებლობამდე ყვავილნარის მოსახლეობას ქონდათ

საწრეტი არხი. მშენებლობის პროცესში ეს არხი დაზიანდა, ფაქტიურად არ არსებობს, რომელიც სირთულეებს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას წვიმიან ამნდში და შემოდგომა ზამთრის პერიოდში.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N6

ქ. ლანჩხუთი 28.07.2025 წელი.

2025 წლის 28 ივლისს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: 3. მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

28.07.2025 წელი
12:30 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	12 25	
2.	ემზარ თევდორაძე	—	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	12 · 28	
4.	ელისო ჭიჭინაძე	—	
5.	კახა თედორაძე	12 30	
6.	ლოლიტა ურუშაძე	12 25	
7.	ზაზა წულაძე	12 25	
8.	გივი ცინცაძე	—	
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	—	